



№ 7/CIRC/FSI

05 / აპრილი / 2021 წ.

დოკის ადმინისტრაციას, აღიარებულ ორგანიზაციებს,
საქართველოს დროით მცურავი გემების
მფლობელებს, ოპერატორებს, მენეჯერებს და სხვა
დაინტერესებულ მხარეებს

შინაარსი: ჰიდრავლიკური გამოცდების სერვისის პროვაიდერები საქართველოში.

მითითება: სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 17 „მცურავი საშუალებისთვის განკუთვნილი დოკის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებისა და დოკზე მუშაობის წესი“, მუხლი მე-16.

1. მიზანი:

1.1 აღნიშნული ცირკულარის მთავარი მიზანია, დოკების ადმინისტრაციამ და ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს ინფორმაცია საქართველოში არსებულ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ავტორიზირებულნი არიან სააგენტოს მიერ აღიარებული ორგანიზაციების მიერ და შეუძლიათ დოკებში განახორციელონ შესაბამისი ჰიდრავლიკური გამოცდების ჩატარება.

2. მოქმედების სფერო:

2.1 ცირკულარი ვრცელდება საქართველოში არსებულ მცურავ და მშრალ დოკზე, სლიპზე და ელინგზე.

3. ჰიდრავლიკური გამოცდები:

3.1 ჰიდრავლიკურ გამოცდას ექვემდებარება ყველა ტიპის ქვაბი, ორთქლის გადამხურებელი, ეკონომიკური და მათი ელემენტები, ყველა ტიპის სტაციონალური წნევის ქვეშ მყოფი ბალონი/რეზერვუარი ახალ ადგილზე დამონტაჟებისა და ექსპლუატაციისას, ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული პერიოდულობით.

3.2 ჰიდრავლიკური გამოცდის დროს, გამოსაცდელი წნევის მნიშვნელობა და გამოცდის ჩატარების წესი უნდა უზუნველყოფდეს ქვაბის ტექნიკური მდგომარეობის და შემდგომი უსაფრთხო მუშაობის დადგენის შესაძლებლობას.

3.3 ჰიდრავლიკური გამოცდის შედეგები ჩაითვლება დადებითად, თუ გამოცდის დროს ძირითად ლითონში არ იქნება გამოვლენილი ხილული წარჩენი დეფორმაციები, ბზარები ან მთლიანობის დარღვევის ნიშნები, დენა შენადულ, გავალცულ, დაშლად და მოქლონურ შეერთებებში. გამოცდის დროს ვალცვურ და გასართ შეერთებებში დასაშვებია ცალკეული წვეთების წარმოქმნა, რომლებიც დაყოვნების დროის განმავლობაში არ მატულობს.

4. ჰიდრავლიკური გამოცდის ტექნიკური სტანდარტი:

4.1 დოკის ადმინისტრაცია ვალდებულია შეიმუშავოს ჰიდრავლიკური გამოცდის ტექნიკური სტანდარტი, სადაც გათვალისწინებული იქნება გამოცდის ჩატარების ტიპები, ვადები და სხვა დამატებითი მოთხოვნები.

5. სერვისის პროვაიდერები:

5.1 სერვისის პროვაიდერები აღიარებული/ავტორიზირებული უნდა იყვნენ სააგენტოს მიერ აღიარებული საკლასიფიკაციო საზოგადოებების საერთაშორისო ასოციაციის წევრი ორგანიზაციის (IACS) წესების შესაბამისად.

5.2 აღნიშნული ცირკულარის დანართის სახით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ საქართველოში არსებული ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაციას, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ დოკებში


შესაბამისის ჰიდრავლიკური გამოცდების ჩატარება.

6. კონსულტაცია, დამატებითი კითხვები:

6.1 დამატებითი კონსულტაციისათვის მიმართეთ სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტს.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტი
ტელ: +995 (422) 274925
ელ-ფოსტა: fsi@mta.gov.ge
ცხელი ხაზი : +995 (577) 221622

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად 

თამარ იოსელიანი

